<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.01.2012, სარეგისტრაციო კოდი: 010190020.04.001.016032) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-8 მუხლის:

ა) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სხდომაზე საკადრო საკითხები წყდება საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი“;

ბ) 24-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„24. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ან თავმჯდომარის დავალებით მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო ცესკოს შემთხვევაში - თავმჯდომარის ის მოადგილე, რომელიც არჩეულია ამ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - ამ კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე არჩეული მოადგილე”.

2. მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. ცესკოს შემადგენლობა და ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესი

1. ცესკო შედგება არაუმეტეს 17 წევრისაგან, მათ შორის არიან ცესკოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის ორი მოადგილე და ცესკოს მდივანი. ცესკოს თავმჯდომარე იმავდროულად არის ცესკოს წევრი. ცესკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა იმავდროულად იწვევს მისი წევრობის შეწყვეტას. ცესკოს 7 წევრს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო ცესკოს არაუმეტეს 9 წევრისა ინიშნება პარტიების მიერ ამ კანონით დადგენილი წესით.

2. საქართველოს პრეზიდენტი ამ მუხლითა და ამ კანონის მე-12 მუხლით დადგენილი წესით შეარჩევს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატურებს.

3. ცესკოს თავმჯდომარეს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი ამ კანონის მე-12 მუხლით დადგენილი წესის გათვალისწინებით. ცესკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადაა 5 წელი, თუ იგი არჩეულია საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით, ხოლო სხვა შემთხვევაში - 6 თვე.

4. ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, აქვს უმაღლესი განათლება, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, აკმაყოფილებს ამ კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“-„ვ“ ქვეპუნქტების, ამ პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებსა და აქვს არანაკლებ 5 წლის შრომითი გამოცდილება.

5. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ცესკოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ მისი მიღებიდან 7 დღის ვადაში წარედგინება ცესკოს.“.

3. მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. ცესკოს თავმჯდომარის მოადგილეების და მდივნის არჩევის წესი

1. ცესკოს თავმჯდომარის ერთი მოადგილე და ცესკოს მდივანი არჩეული უნდა იყოს საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული ცესკოს წევრებიდან. კანდიდატურების დასახელების უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 2 წევრს. ერთი და იმავე კანდიდატურის დასახელება შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

2. ცესკოს თავმჯდომარის ერთი მოადგილე არჩეული უნდა იყოს ამ კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრული პარტიების მიერ დანიშნული წევრებიდან, რომლებიც საქართველოს პარლამენტის უმრავლესობაში არ შედიან. კანდიდატის წარდგენა ხდება ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული პარტიების უმრავლესობის გადაწყვეტილებით. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო უკრავლესობის მხარდაჭერა, კანდიდატი გავმოლინდება მე-13 მუხლით განსაზღვრული პარტიების მიერ დანიშნული იმ წევრებიდან წილისყრით, ვინც გამოთქვამს მოადგილედ არჩევის სურვილს. მოადგილედ არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელსაც ცესკოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა დაუჭერს მხარს. თუ კანდიდატმა ვერ მიიღო ცესკოს უმრავლესობის მხარდაჭრა, იმართება ხელახალი კენჭისყრა, რომლის შედეგადაც კანდიდატი არჩეულად ითვლება, თუ ის მიიღებს ცესკოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მხარდაჭერას.

3. თუ დადგენილ ვადაში ვერ აირჩა ამ მუხლის 1-ლი პუნქტნით განსაზღვრული ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი, აღნიშნული თანამდებობის პირის მოვალეობას მის არჩევამდე ასრულებს კომისიის ის წევრი, რომელიც არჩევნებისას ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ხოლო ხმათა თანაბრობის შემთხვევაში – მათგან წილისყრით განსაზღვრული პირი.“.

4. მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქიით:

„მუხლი 12. ცესკოს წევრების არჩევის წესი

1. საქართველოს პრეზიდენტი ამ მუხლით დადგენილი წესით შეარჩევს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ცესკოს წევრობის კანდიდატურებს. საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული ცესკოს წევრების უფლებამოსილების ვადაა 5 წელი, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ცესკოს წევრობის კანდიდატი შეირჩევა ღია კონკურსის წესით.

3. ცესკოს წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 30 დღისა, ხოლო ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში – მისი წარმოშობიდან არა უგვიანეს 15 დღისა საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს განკარგულებას კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ. საკონკურსო კომისია შედგება არაუმეტეს 10 წევრისგან. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ საქართველოში რეგისტრირებული იმ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირების წარმომადგენლები, რომლებსაც აქვთ საარჩევნო საკითხებში, დემოკრატიის და ადამიანის უფლებების სფეროში საქმიანობის არანაკლებ 7-წლიანი გამოცდილება, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელები, რომლებსაც აქვთ სულ მცირე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა. კომისიის შემადგენლობის ამ

პუნქტით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირების წარმომადგენლებით უნდა იყოს დაკომპლექტებული. საკონკურსო საბუთების წარდგენის ვადაა კონკურსის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 14 დღისა. თუ აღნიშნული ვადები ემთხვევა არჩევნების ჩატარების პერიოდს, საქართველოს პრეზიდენტი კონკურსს აცხადებს არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს მე-7 დღისა, ხოლო ცესკოს წევრს უფლებამოსილება უწყდება ახალი წევრის არჩევისთანავე.

4. ცესკოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, აქვს უმაღლესი განათლება, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს, აქვს არანაკლებ 5 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

5. ცესკოს წევრად არ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს:

ა) პირი, რომელსაც არა აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი;

ბ) პირი, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის საარჩევნო კომისიამ ან სასამართლომ გაათავისუფლა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში დაკავებული თანამდებობიდან, – თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან 4 წლის განმავლობაში;

გ) პირი, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად, – სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 4 წლის განმავლობაში;

დ) ნასამართლევი პირი;

ე) საარჩევნო სუბიექტი/სუბიექტობის კანდიდატი და მისი წარმომადგენელი;

ვ) დამკვირვებელი.

6. თუ ამ კანონით განსაზღვრულ ვადაში ერთ ვაკანსიაზე არანაკლებ 2 კანდიდატურა არ იქნება წარდგენილი, კონკურსი გრძელდება იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც მოხდება ერთ ვაკანსიაზე არანაკლებ 2 კანდიდატურის წარდგენა.

7. კანდიდატურების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 2 დღის ვადაში ქვეყნდება კანდიდატთა სია, მათ ბიოგრაფიებთან ერთად.

8. კანდიდატურების წარდგენის ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 5 დღისა საკონკურსო კომისია საქართველოს პრეზიდენტს ცესკოს წევრად ასარჩევად წარუდგენს თითო ვაკანსიაზე არანაკლებ 2 და არა უმეტეს 3 კანდიდატურას. კანდიდატების შერჩევიდან არა უგვიანეს 7 დღისა საქართველოს პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატთა შერჩევის შესახებ და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ცესკოს წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე 2 კანდიდატურას.

9. საქართველოს პრეზიდენტის მიერ ცესკოს წევრობის კანდიდატების საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენიდან არაუგვიანეს 14 დღისა საქართველოს პარლამენტი საქართველოს პარლამენტი ამ მუხლითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით ირჩევს ცესკოს წევრებს.

10. ცესკოს წევრებს საქართველოს პარლამენტი ირჩევს სახელობითი კენჭისყრით. თითოეულ კანდიდატს ცალკე ეყრება კენჭი. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობა. თუ ამ პირთა რაოდენობა ასარჩევ რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლება მათ შორის უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი. თუ კანდიდატების მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ

კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად. თუ კენჭისყრის შედეგად არ შეივსო ყველა ვაკანსია, დარჩენილ კანდიდატებს პირველი კენჭისყრიდან არაუადრეს 4 კვირისა კენჭი ხელახლა ეყრებათ. ხელახალი კენჭისყრისას არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობა. თუ ვაკანსია ისევ არ შეივსო, მეორე კენჭისყრიდან არაუადრეს 4 კვირისა იმართება კიდევ ერთი კენჭისყრა. აღნიშნული კენჭისყრისას არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობა, თუ ვაკანსია ისევ არ შეივსო, აღნიშნული კენჭისყრიდან არაუადრეს 4 კვირისა იმართება კიდევ ერთი კენჭისყრა. აღნიშნული კენჭისყრისას არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. თუ ვაკანსია ისევ შეუვსებელი დარჩა საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტს 3 დღის ვადაში, კონკურსში მონაწილე სხვა კანდიდატებისგან თითოეულ დარჩენილ ვაკანსიაზე წარუდგენს 2 კანდიდატურას. თუ ვაკანსია კვლავ შეუვსებელი დარჩა, არა უგვიანეს 3 დღისა დარჩენილ ვაკანსიაზე ცხადდება კონკურსი და კანდიდატურების წარდგენის პროცედურა თავიდან იწყება.

11. ერთი და იმავე კანდიდატურის წარდგენა შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

12. ცესკოს წევრის უფლებამოსილების ვადა, რომელიც არჩეულია საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედზე ნაკლები ხმით, არის 6 თვე.

13. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ცესკოს წევრის არჩევის შესახებ მისი მიღებიდან 7 დღის ვადაში წარედგინება ცესკოს.“.

5. მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. პარტიების მიერ ცესკოს წევრების დანიშვნისა და მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტის წესი

1. პოლიტიკურ პარტიას უფლება აქვს დანიშნოს ერთი წევრი ცესკოში, თუ პარტია ცესკოს თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული იყო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით და ამ კანონის 125-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-9 პუნქტების შესაბამისად მიეკუთვნა საქართველოს პარლამენტის წევრის მანდატი.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პარტიების რაოდენობა 9-ზე მეტია, ცესკოს წევრის დანიშვნისას უპირატესობა ენიჭება იმ პარტიას, რომელმაც არჩევნებში უფრო მეტი ხმა მიიღო.

3. თუ პარტიებს არჩევნებში ხმების თანაბარი რაოდენობა აქვთ მიღებული, ცესკოს წევრის დანიშვნის უპირატესობა ენიჭება პარტიას, რომელმაც უფრო ადრე გაიარა საარჩევნო რეგისტრაცია.

4. პარტიას უფლება აქვს, გამოიწვიოს მის მიერ დანიშნული ცესკოს წევრი. გამოწვევა დაუშვებელია არჩევნების დანიშვნიდან შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე. პარტიას უფლება აქვს, აღნიშნული ვადის განმავლობაში ცესკოს ახალი წევრი დანიშნოს მხოლოდ დანიშნული წევრის გადადგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში.“.

6. მე-14 მუხლის

ა) პირველი პუნქტის „ნ[1]“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ[2] ქვეპუნქტი:

„ნ[2]) განკარგულებით ამტკიცებს ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფის შემადგენლობას და მის დებულებას.“.

ბ) პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ფ) ამ კანონით დადგენილი წესით განიხილავს არჩევნებთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას, მათ შორის, სათანადო საფუძვლის არსებობისას, განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.“.

7. მე-15 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ) მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ამ კანონის მე-8 მუხლის 24-ე პუნქტის შესაბამისად ასრულებს ცესკოს თავმჯდომარის მოვალეობას;“.

8. მე-16 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-16[1] პუნქტი:

„მუხლი 16[1]. ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი

1. ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფის შემადგენლობას და მის დებულებას განკარგულებით ამტკიცებს ცესკო.

2. ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი უნდა შედგებოდეს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლისგან და არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ შერჩეული საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტებისგან.

3. საკონსულტაციო ჯგუფი ცესკოს წარუდგენს რეკომენდაციებს დავების განხილვის პროცესისთვის. ამ ჯგუფს ცესკოს განკარგულებით შეიძლება მიენიჭოს დამატებითი ფუნქციები, როგორიცაა კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლის პროცესში ჩართვა.“.

9. მე-18 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. მუნიციპალიტეტების საკრებულოების მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემის არჩეული წევრების რაოდენობები განისაზღვრება ამ კანონით.“.

10. მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19. საოლქო საარჩევნო კომისიის შექმნა

1. საოლქო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი ტერიტორიული ორგანო. საოლქო საარჩევნო კომისიას ქმნის ცესკოს წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. საოლქო საარჩევნო კომისიას აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდებით, შტამპი, ანგარიშსწორებისა და მიმდინარე საბანკო ანგარიშები. საოლქო საარჩევნო კომისიისათვის ცესკოს მიერ განსაზღვრული ფინანსების ხარჯვისათვის პასუხისმგებელი არიან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ბუღალტერი. საოლქო საარჩევნო კომისიას აქვს არჩევნებისათვის გამოყოფილი ფინანსების ნებისმიერ კომერციულ ბანკში ან/და მის ფილიალში გახსნილი ანგარიშიდან ხარჯვის უფლება.

2. ცესკო უფლებამოსილია განკარგულებით შექმნას თითო საოლქო საარჩევნო კომისია ერთი მუნიციპალიტეტის საზღვრებში, ხოლო ათი საოლქო საარჩევნო კომისია – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში. შესაბამისი მუნიციპალიტეტის საზღვრები არის საოლქო საარჩევნო კომისიის სამოქმედო ტერიტორია.

3. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადაა 5 წელი, ხოლო

საოლქო საარჩევნო კომისიის იმ წევრის უფლებამოსილების ვადა, რომელიც ცესკომ აირჩია ამ მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე არჩევნების დანიშვნის შემდეგ, განისაზღვრება მათი დანიშვნიდან შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე დროის მონაკვეთით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4. საოლქო საარჩევნო კომისიის 5 წევრს 5 წლის ვადით, სრული შემადგენლობის ორი მესამედით ირჩევს ცესკო, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

5. არჩევნების დანიშვნის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს ამ კანონის მე-13 მუხლით დადგენილი წესით ნიშნავენ შესაბამისი პოლიტიკური გაერთიანებები, ხოლო 3 წევრს სრული შემადგენლობის ორი მესამედით ირჩევს ცესკო, შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე დროის მონაკვეთით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

6. პარტიის გადაწყვეტილება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის თაობაზე უნდა წარედგინოს ცესკოს არჩევნების დანიშვნიდან 7 კალენდარული დღის ვადაში. თუ უფლებამოსილი პარტიები ამ პუნქტით დადგენილ ვადაში არ დანიშნავენ ან გაიწვევენ საარჩევნო კომისიის წევრებს, რის შედეგადაც საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა სრული შემადგენლობის ორ მესამედზე ქვემოთ ჩამოვა, ცესკოს ამ ვადის ამოწურვის მომდევნო დღიდან უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა შეავსოს სრული შემადგენლობის ორ მესამედამდე.

7. პარტიას უფლება აქვს გამოიწვიოს თავის მიერ დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი მხოლოდ კენჭისყრის დღემდე 3 კვირით ადრე. პარტიას უფლება აქვს, საოლქო საარჩევნო კომისიის ახალი წევრი დანიშნოს მხოლოდ დანიშნული წევრის გადადგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში.

8. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად წარდგენილი პირი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არ ჩაითვლება, თუ დაირღვა ამ კანონის მე-20 მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული საბუთების წარდგენის ვადა ან/და წარდგენილი საბუთები არასრულია ან არაზუსტია და ამ პუნქტით დადგენილ ვადაში არ იქნა აღმოფხვრილი ამ საბუთებში არსებული ხარვეზები. თუ წარდგენილი საბუთები არ შეესაბამება ამავე კანონის მე-20 მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე 2 დღის ვადაში აცნობებს ამის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) მას, ვინც დანიშნა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი. შესწორებული საბუთები ცესკოს 3 დღეში უნდა დაუბრუნდეს.

9. უფლებამოსილი პარტიის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად დანიშნული პირი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არ ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ აღმოჩნდება, რომ ეს პირი ცესკოსთვის მისი წარდგენის მომენტისათვის არის იმავე ან სხვა საარჩევნო კომისიის წევრი ან/და წარდგენილი პირი არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-20 მუხლის მე-17 პუნქტის მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში ცესკოს თავმჯდომარე უფლებამოსილ პარტიას 2 დღის ვადაში აცნობებს ამის შესახებ და აძლევს დამატებით, 1-დღიან ვადას საოლქო საარჩევნო კომისიის ახალი წევრის წარსადგენად.

10. საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს ცესკოს მიერ 5 წლის ვადით არჩეული წევრებისგან, სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

11 აკრძალულია საოლქო საარჩევნო კომისიის იმავე შენობაში განთავსება, რომელშიც მდებარეობს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო ან მერია, პარტია, სასამართლო, პოლიციის დანაყოფი ან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დანაყოფი.

12. აკრძალულია პარტიის, პარტიის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის საარჩევნო შტაბის იმ შენობაში განთავსება, სადაც საოლქო საარჩევნო კომისიაა განთავსებული.

13. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს საარჩევნო პერიოდში უფლება აქვს, შრომითი ხელშეკრულებებით დაიქირაოს საოლქო საარჩევნო კომისიის დამხმარე და ტექნიკური პერსონალი (გარდა ბუღალტრისა) ცესკოს განკარგულებით დადგენილი რაოდენობის ფარგლებში. საოლქო საარჩევნო კომისიის დამხმარე და ტექნიკური პერსონალის წევრები არ არიან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურეები და მათზე არ ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამსახურებრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები.

14. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია ამ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული რაოდენობის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დაიქირაოს ბუღალტერი ამ კანონის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების დასრულებამდე.“.

11. მე-20 მუხლის

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საოლქო საარჩევნო კომისია შედგება არაუმეტეს 17 წევრისაგან, რომლებსაც ამ კანონით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით ნიშნავენ/ირჩევენ ამავე კანონით განსაზღვრული სუბიექტები.

2. საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს შესაბამისი ვაკანსიის წარმოშობის შემდეგ, კომისიის პირველივე სხდომაზე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით, ცესკოს მიერ 5 წლის ვადით დანიშნულ კომისიის წევრთაგან ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება საოლქო საარჩევნო კომისიაში მისი წევრობის ვადით.“;

ბ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. საოლქო საარჩევნო კომისიაში ამ კანონის მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ცესკოს მიერ არჩეულ 3 წევრს და ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული პარტიების მიერ დანიშნულ წევრებს უფლებამოსილება უწყდებათ შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებისთანავე.“

გ) მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს ცესკო ირჩევს სახელობითი კენჭისყრით. თითოეულ კანდიდატს ცალკე ეყრება კენჭი. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს ცესკოს სრული შემადგენლობის ორი მესამედი. თუ ამ პირთა რაოდენობა ასარჩევ რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლებიან მათ შორის უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატები. თუ რომელიმე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად. თუ გამარჯვებული კვლავ ვერ გამოვლინდა, იგი წილისყრით განისაზღვრება. თუ ამ პუნქტით დადგენილი წესით საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი ვერ აირჩა, კანდიდატებს კენჭი ხელახლა ეყრებათ. ხელახალი კენჭისყრის შედეგად არჩეულად ჩაითვლება პირი თუ მას მხარს დაუჭერს, ცესკო სრული შემადგენლობის უმრავლესობა, თუ ყველა ვაკანსია კვლავ არ შეივსო, დარჩენილ ვაკანსიაზე კონკურსი თავიდან ცხადდება.“.

12. 21-ე მუხლის:

ა) „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$დ^1$“ და „$დ^2$“ ქვეპუნქტები:

„$დ^1$) ვალდებულია გახსნას შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაცია და ხელახლა დათვალოს კენჭისყრის შედეგები იმ შემთხვევაში, როცა საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში, ისე, რომ მას არ ახლავს შესწორების ოქმი, გადასწორებულია სუბიექტების მიერ მიღებული ხმები, ამომრჩეველთა რაოდენობა ან/და ბათილი ბიულეტენების რაოდენობა;

$დ^2$) კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-6 დღისა საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე არსებული საარჩევნო უბნებიდან შემთხვევითი შერჩევის წესით კომისიის სხდომაზე გამოავლინოს 5 საარჩევნო უბანი, გახსნას ამ საარჩევნო უბნების კომისიებიდან მიღებული პაკეტები და ხელახლა დათვალოს საარჩევნო ბიულეტენები. შემთხვევით შერჩევისას მხედველობაში არ მიიღება ის უბნები, სადაც განთავსებულია საარჩევნო ბიულეტენების ელექტრონული მთვლელი.“.

ბ) „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) განიხილავს საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას, მათ შორის, სათანადო საფუძვლის არსებობისას, განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.“.

13. 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „$ვ^1$“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

14. 24-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 24. საუბნო საარჩევნო კომისიის შექმნა

1. საუბნო საარჩევნო კომისია შედგება 17 წევრისაგან, რომლებსაც ამ კანონით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით ნიშნავენ/ირჩევენ ამავე კანონით განსაზღვრული სუბიექტები.

2. საუბნო საარჩევნო კომისიის 8 წევრს ირჩევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია სრულის შემადგენლობის ორი მესამედი, იმ პირობით, რომ მას მხარს დაუჭერს, მათ შორის, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს მიერ 5 წლის ვადით არჩეული 3 წევრი მაინც. ამ პუნქტით განსაზღვრულ არჩევის პროცედურაში არ მონაწილეობს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი, თუ ის არის შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის ოჯახის წევრი (მეუღლე, პირდაპირი აღმავალი ან დამავალი შტოს ნათესავი, გერი, და, ძმა, მშობლის ან შვილის გერი, მეუღლის და, ძმა, მშობელი). დაუშვებელია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად იმ პირის არჩევა, რომელიც ბოლო საერთო არჩევნებში რომელიმე დონის საარჩევნო კომისიის წევრად პოლიტიკური პარტიის მიერ იყო დანიშნული.

3. სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის 8 წევრს ირჩევს ცესკო ამ მუხლითა და 25-ე მუხლით დადგენილი წესით.

4. საუბნო საარჩევნო კომისიის 9 წევრს ამ კანონის მე-13 მუხლით დადგენილი წესით ნიშნავენ შესაბამისი პოლიტიკური გაერთიანებები.

5. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

6. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად არ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს:

ა) პირი, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის საარჩევნო კომისიამ ან სასამართლომ გაათავისუფლა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში დაკავებული თანამდებობიდან, – თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან 4 წლის განმავლობაში;

ბ) პირი, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად, – სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 4 წლის განმავლობაში;

გ) ნასამართლევი პირი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირს სანქციის სახით შეფარდებული აქვს ჯარიმა);

დ) საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი;

ე) საქართველოს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები და მათი მოადგილეები;

ვ) სამინისტროს დეპარტამენტებისა და სამმართველოების ხელმძღვანელები;

ზ) მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს თავმჯდომარე, მერი და მათი მოადგილეები;

თ) სამხედრო მოსამსახურე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მოსამსახურეები, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის თანამშრომელი;

ი) მოსამართლეები და მათი თანაშემწეები;

კ) პროკურატურის თანამშრომლები;

ლ) საარჩევნო სუბიექტი/სუბიექტობის კანდიდატი და მისი წარმომადგენელი;

მ) დამკვირვებელი.

7. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება დაინიშნოს/აირჩეს საჯარო მოსამსახურე (გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტის „დ“-„კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირებისა). მასზე არ გავრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით თანამდებობრივი შეუთავსებლობის შესახებ დადგენილი მოთხოვნები. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად საჯარო მოსამსახურის დანიშვნის/არჩევის შემთხვევაში საჯარო მოსამსახურეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში დროებით შეიძლება შეუჩერდეს უფლებამოსილება მუდმივ სამუშაო ადგილას, რისთვისაც მას კანონით დადგენილი წესით ეძლევა ანაზღაურებისგარეშე შვებულება ან კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულება საკუთარი მოთხოვნის შესაბამისად.“.

15. 25-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს და საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის წარმოშობის შემდეგ, საუბნო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომაზე, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადით, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული წევრების უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით, საუბნო საარჩევნო კომისიის იმ წევრთაგან, რომლებიც არჩეული არიან საოლქო კომისიის მიერ, ირჩევს საუბნო საარჩევნო

კომისია. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს საუბნო საარჩევნო კომისიის არანაკლებ 2 წევრს.“.

ბ) მე-3–მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის ერთსა და იმავე ვაკანტურ თანამდებობაზე ერთი და იმავე კანდიდატურის დასახელება შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

4. მორიგი არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს ირჩევს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 46-ე დღისა, ხოლო რიგგარეშე არჩევნების შემთხვევაში არაუადრეს 50-ე დღისა და არაუგვიანეს 46-ე დღისა. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევამდე შესაბამის კანდიდატთა სია ქვეყნდება ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე. გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები აირჩევიან არჩევნების დღემდე არაუადრეს მე-10 დღისა და არაუგვიანეს მე-9 დღისა.

5. ცესკო სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს ირჩევს არჩევნების დღემდე არაუადრეს 24-ე დღისა და არაუგვიანეს მე-20 დღისა.“.

გ) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს სახელობითი კენჭისყრით. თითოეულ კანდიდატს ცალკე ეყრება კენჭი. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედი. თუ ამ პირთა რაოდენობა ასარჩევ რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლებიან მათ შორის უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატები. თუ კანდიდატების მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად. ხელახალი კენჭისყრის შედეგად არჩეულად ჩაითვლება პირი თუ მას მხარს დაუჭერს, ცესკო სრული შემადგენლობის უმრავლესობა. თუ გამარჯვებული კვლავ ვერ გამოვლინდა, იგი წილისყრით განისაზღვრება. თუ კენჭისყრის შედეგად არ შეივსო ყველა ვაკანსია, გადაწყვეტილებას იღებს ცესკო.“.

16. 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ[1]” ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

17. 29-ე მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა კენჭისყრის დღემდე ბოლო 20 დღის განმავლობაში, კენჭისყრის დღეს და კენჭისყრის დღის მომდევნო დღეს.“.

18. 45-ე მუხლის:

ა) მე-4 პუნქტის:

ა.ა) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) საჯარო მოსამსახურეებისა – სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ უფლებამოსილებებს;“;

ა.ბ) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლებისა (გარდა უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, სახელოვნებო დაწესებულებების, რელიგიური ორგანიზაციებისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თანამშრომლებისა), სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო

(არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომლებისა, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორებისა, აღმზრდელ-პედაგოგებისა, აღმზრდელებისა, მასწავლებლებისა, იქ დასაქმებული სხვა პირებისა, – სამუშაო საათების განმავლობაში ან როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ უფლებამოსილებებს.";

ბ) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. დაუშვებელია კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება, რომელიც ჩამოხსნას/დემონტაჟს/აღებას ექვემდებარება. დაუშვებელია აგრეთვე კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება. დაუშვებელია ასევე კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ადამიანთა შეკრება ან ამომრჩეველთა აღრიცხვა.".

19. 48-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ" ქვეპუნქტი:

„დ) საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლების, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომლების, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორების, აღმზრდელ-პედაგოგების, აღმზრდელების, მასწავლებლების, იქ დასაქმებული სხვა პირების შეკრება სამსახურებრივი ნიშნით.".

20. 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2^1 პუნქტი:

„2^1. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ წილისყრაში არ მონაწილეობენ პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრები.".

21. 70-ე მუხლს მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4^1 პუნქტი:

„4^1. 71-ე მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდის დალუქვის და მასზე ყველა კომისიის წევრის ხელმოწერის შემდეგ აკრძალულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმის შედგენა."

22. 71-ე მუხლის:

ა) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^1 პუნქტი:

„6^1. საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი იურიდიული ძალის მქონეა თუ მას ხელი მოაწერა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულმა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ორმა მესამედმა და ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური გაერთიანების მიერ დანიშნულმა საუბნო საარჩევნო კომისიის 1 წევრმა მაინც.".

ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია უზრუნველყოს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლის გამოკვრა საჯარო გაცნობისათვის. საუბნო საარჩევნო

კომისია ოქმის ფოტოასლს (საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით), მისი მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გადასცემს პარტიის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებს და დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს. ოქმის ფოტოასლი უნდა დამოწმდეს საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით (ამ ოქმების იურიდიული ძალა ისეთივეა, როგორიც საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა). ოქმის ფოტოასლის მიღებას ზემოაღნიშნული პირები ჩანაწერთა წიგნში ხელმოწერებით ადასტურებენ.“.

23. 75-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის განხილვის შედეგების გათვალისწინებით, კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა აჯამებს რეფერენდუმის, საქართველოს პარლამენტის არჩევნების, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და მერის არჩევნების შედეგებს, ადგენს საქართველოს პარლამენტის არჩევნების, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და მერის არჩევნების შედეგებს და საარჩევნო ოლქში გამართული კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების თითოეული სახის შემაჯამებელ ოქმებს, რომლებსაც არაუგვიანეს მომდევნო დღისა გადასცემს ცესკოს.“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში მონაცემების შესწორება დაიშვება მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ოლქის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიიდან მიღებული დალუქული პაკეტების გახსნის, კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობის და საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა დათვლის შესახებ გადაწყვეტილებას.”.

გ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „5^1“ პუნქტი:

„5^1. საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი იურიდიული ძალის მქონეა თუ მას ხელი მოაწერა ცესკოს მიერ არჩეულმა საოლქო საარჩევნო კომისიის ორმა მესამედმა და ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური გაერთიანების მიერ დანიშნულმა საოლქო საარჩევნო კომისიის 1 წევრმა მაინც.“.

24. 76-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცესკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე, კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს 25-ე დღისა თავის სხდომებზე აჯამებს საქართველოს პარლამენტის არჩევნების, ქალაქ თბილისის მერისა და ქალაქ თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგებს, რის თაობაზედაც ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს.“.

25. 77-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საუბნო საარჩევნო კომისიის/საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელიც საჩივარს იხილავს 4 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებები მათი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან **2** კალენდარული დღის ვადაში. ცესკოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან **2** კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლო საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანიდან **2** კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.“;

გ) მე-5^2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „5^3“ პუნქტი:

„5^3. საოლქო საარჩევნო კომისიაში და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საჩივრის წარდგენა დასაშვებია როგორც მატერიალური, ისე - ელექტრონული ფორმით. საჩივრის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესს განკარგულებით განსაზღვრავს ცენტრალური საარჩევნო კომისია.“.

26. 78-ე მუხლის:

ა) 1^1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^1. ამ მუხლით განსაზღვრულ საარჩევნო დავებზე განცხადების/საჩივრის საარჩევნო კომისიაში შეტანის უფლება აქვთ ამ მუხლში მითითებულ პირებს, იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეგისტრირებული არიან ცესკოს მიერ წარმოებულ საარჩევნო დავებზე უფლებამოსილების მქონე პირთა ელექტრონულ რეესტრში.“.

ბ) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. ამ კანონის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ საარჩევნო დავებზე ამავე მუხლით განსაზღვრული პირების გარდა სხვა პირთა მიერ საარჩევნო კომისიაში/სასამართლოში შეტანილი განცხადება//საჩივარი განუხილველი რჩება. საარჩევნო კომისიაში შეტანილი განცხადება/საჩივარი განუხილველი რჩება იმ შემთხვევაშიც, თუ განცხადება/საჩივარს თან არ ახლავს პირის წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.“.

27. 93-ე მუხლს მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^1 პუნქტი:

„8^1. ცესკოს თავმჯდომარის, აგრეთვე ცესკოსგან უფლებამოსილი პირების (თანამდებობის პირების) მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევასთან

დაკავშირებით სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს 10 კალენდარული დღის ვადაში. სასამართლო საქმის განხილვის შედეგად იღებს დადგენილებას ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების თაობაზე ან უარს ამბობს საჩივრის დაკმაყოფილებაზე.“.

28. 125-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცესკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმებისა და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების საფუძველზე, არჩევნების დღიდან არაუგვიანეს 25-ე დღისა თავის სხდომაზე აჯამებს საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგებს და ადგენს საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების საბოლოო შემაჯამებელ ოქმს.“.

28. 140-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 140. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს შემადგენლობა

თვითმმართველი თემის და თვითმმართველი ქალაქების (გარდა ქალაქ თბილისისა) საკრებულოების მაჟორიტარული და პროპორციული შემადგენლობა განისაზღვრო შემდეგი სახით:

		მაჟორიტარული	პროპორციული	სულ
1.	ბათუმის საარჩევნო ოლქი	7	28	35
2.	ქუთაისის საარჩევნო ოლქი	7	28	35
3.	რუსთავის საარჩევნო ოლქი	7	28	35
4.	ფოთის საარჩევნო ოლქი	7	28	35
5.	საგარეჯოს საარჩევნო ოლქი	13	26	39
6.	გურჯაანის საარჩევნო ოლქი	13	26	39
7.	სიღნაღის საარჩევნო ოლქი	12	24	36
8.	დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქი	10	20	30
9.	ლაგოდეხის საარჩევნო ოლქი	10	20	30
10.	ყვარლის საარჩევნო ოლქი	9	18	27
11.	თელავის საარჩევნო ოლქი	13	26	39
12.	ახმეტის საარჩევნო ოლქი	10	20	30
13.	თიანეთის საარჩევნო ოლქი	9	18	27
14.	გარდაბნის საარჩევნო ოლქი	10	20	30
15.	მარნეულის საარჩევნო ოლქი	10	20	30
16.	ბოლნისის საარჩევნო ოლქი	11	22	33
17.	დმანისის საარჩევნო ოლქი	10	20	30
18.	წალკის საარჩევნო ოლქი	10	20	30
19.	თეთრიწყაროს საარჩევნო ოლქი	12	24	36
20.	მცხეთის საარჩევნო ოლქი	9	18	27
21.	დუშეთის საარჩევნო ოლქი	11	22	33

22.	ყაზბეგის საარჩევნო ოლქი	6	12	18
23.	კასპის საარჩევნო ოლქი	10	20	30
24.	გორის საარჩევნო ოლქი	13	26	39
25.	ქარელის საარჩევნო ოლქი	10	20	30
26.	ხაშურის საარჩევნო ოლქი	10	20	30
27.	ბორჯომის საარჩევნო ოლქი	11	22	33
28.	ახალციხის საარჩევნო ოლქი	11	22	33
29.	ადიგენის საარჩევნო ოლქი	11	22	33
30.	ასპინძის საარჩევნო ოლქი	10	20	30
31.	ახალქალაქის საარჩევნო ოლქი	14	28	42
32.	ნინოწმინდის საარჩევნო ოლქი	9	18	27
33.	ონის საარჩევნო ოლქი	11	22	33
34.	ამბროლაურის საარჩევნო ოლქი	10	20	30
35.	ცაგერის საარჩევნო ოლქი	10	20	30
36.	ლენტეხის საარჩევნო ოლქი	7	14	21
37.	მესტიის საარჩევნო ოლქი	11	22	33
38.	ხარაგაულის საარჩევნო ოლქი	11	22	33
39.	თერჯოლის საარჩევნო ოლქი	10	20	30
40.	საჩხერის საარჩევნო ოლქი	11	22	33
41.	ზესტაფონის საარჩევნო ოლქი	12	24	36
42.	ბაღდათის საარჩევნო ოლქი	9	18	27
43.	ვანის საარჩევნო ოლქი	10	20	30
44.	სამტრედიის საარჩევნო ოლქი	12	24	36
45.	ხონის საარჩევნო ოლქი	10	20	30
46.	ჭიათურის საარჩევნო ოლქი	11	22	33
47.	ტყიბულის საარჩევნო ოლქი	9	18	27
48.	წყალტუბოს საარჩევნო ოლქი	13	26	39
49.	ოზურგეთის საარჩევნო ოლქი	15	30	45
50.	ლანჩხუთის საარჩევნო ოლქი	10	20	30
51.	ჩოხატაურის საარჩევნო ოლქი	12	24	36
52.	აბაშის საარჩევნო ოლქი	11	22	33
53.	სენაკის საარჩევნო ოლქი	12	24	36
54.	მარტვილის საარჩევნო ოლქი	12	24	36
55.	ხობის საარჩევნო ოლქი	12	24	36
56.	ზუგდიდის საარჩევნო ოლქი	15	30	45
57.	წალენჯიხის საარჩევნო ოლქი	9	18	27
58.	ჩხოროწყუს საარჩევნო ოლქი	9	18	27
59.	ქედის საარჩევნო ოლქი	7	14	21

60.	ქობულეთის საარჩევნო ოლქი	12	24	36
61.	შუახევის საარჩევნო ოლქი	7	14	21
62.	ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი	8	16	24
63.	ხულოს საარჩევნო ოლქი	8	16	24

29. 148-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება საარჩევნო ოლქში პროპორციული წესით გასანაწილებელი მანდატების რაოდენობაზე და იყოფა იმ პარტიების მიერ მიღებული ხმების რაოდენობათა ჯამზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 3 პროცენტისა. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

2. თუ საარჩევნო ოლქში პარტიული სიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი მანდატების საერთო რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი, პირველ რიგში, თანამიმდევრობით მიეკუთვნება უკეთესი შედეგის მქონე იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით ვერ მოიპოვეს მანდატი, მაგრამ მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 3 პროცენტისა. თუ ამის შემდეგ კიდევ დარჩება გაუნაწილებელი მანდატი (მანდატები), თითო მანდატი თანამიმდევრობით მიეკუთვნება იმ პარტიულ სიებს, რომლებსაც ერთი მანდატი მაინც ჰქონდათ მოპოვებული და სხვებზე დიდი ნაშთი აქვთ. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.“.

30. 155-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თბილისის საკრებულო შედგება 50 წევრისაგან, რომელთაგან 10 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო 40 წევრი – პროპორციული წესით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.“.

31. 162-ე მუხლის პირველი–მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თბილისის საკრებულოში პროპორციული სისტემით მანდატები ნაწილდება მხოლოდ იმ საარჩევნო სუბიექტებზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 2.5 პროცენტისა. მანდატები ნაწილდება ამ მუხლით დადგენილი წესით.

2. პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 40-ზე და იყოფა იმ პარტიების მიერ მიღებული ხმების რაოდენობათა ჯამზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 2.5 პროცენტისა. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

3. თუ პარტიული სიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 40-ზე ნაკლები აღმოჩნდება, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი, პირველ რიგში, თანამიმდევრობით მიეკუთვნება უკეთესი შედეგის მქონე იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით ვერ მოიპოვეს მანდატი, მაგრამ მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 2.5 პროცენტისა. თუ ამის შემდეგ კიდევ დარჩება გაუნაწილებელი მანდატი (მანდატები), თითო მანდატი თანამიმდევრობით მიეკუთვნება იმ პარტიულ სიებს, რომლებსაც ერთი მანდატი მაინც ჰქონდათ მოპოვებული და სხვებზე დიდი ნაშთი აქვთ. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

4. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით ვერცერთმა პარტიულმა სიამ ვერ მოიპოვა მანდატი, თითო მანდატი მიეკუთვნება იმ 40 სუბიექტს, რომლებმაც სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.“.

32. 196-ე მუხლის:

ა) მე-19 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„19. პოლიტიკურ პარტიას უფლება აქვს დანიშნოს ერთი წევრი ცესკოში, თუ პარტია ცესკოს თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული იყო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით და ამ კანონის 125-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-9 პუნქტების შესაბამისად მიეკუთვნა საქართველოს პარლამენტის წევრის მანდატი;

ბ) მე-19 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-20 და 21-ე პუნქტები:

„20. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პარტიების რაოდენობა 9-ზე მეტია, ცესკოს წევრის დანიშვნისას უპირატესობა ენიჭება იმ პარტიას, რომელიც უფრო მეტ საბიუჯეტო დაფინანსებას იღებს.

21. ცესკოს წევრის დანიშვნისას თანაბარი დაფინანსების ოდენობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პარტიას, რომელმაც უფრო ადრე გაიარა საარჩევნო რეგისტრაცია.

22. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათალისწინებული პარტიის სიით გასულმა პარლამენტის ყველა წევრმა, რომელიც ახორციელებს პარლამენტის წევრის უფლებამოსილებას საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 224-ე მუხლის მე-10 პუნქტის მნიშვნელოვით, ამ კანონის ამოქმედებისას არსებული მდგომარეობით, დატოვა პარტია და ყველა ერთად გაწევრიანდა სხვა პარტიაში, მაშინ ცესკოს ერთი წევრის დანიშვნის უფლება გადადის ამ პარტიაზე.

23. პარტიას უფლება აქვს, გამოიწვიოს მის მიერ დანიშნული ცესკოს წევრი. გამოწვევა დაუშვებელია არჩევნების დანიშვნიდან არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე. პარტიას უფლება აქვს, აღნიშნული ვადის განმავლობაში ცესკოს ახალი წევრი დანიშნოს მხოლოდ დანიშნული წევრის გადადგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში.

24. ამ მუხლის მიზნებისთვის ბლოკში შემავალი პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების ოდენობა უნდა განისაზღვროს 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობის შესაბამისად.“.

33. კანონს 203[1] მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 203[2] მუხლი:

„მუხლი 203[2]. გარდამავალ პერიოდში ცესკოს მიერ გარკვეულ მოქმედებათა ელექტრონული საშუალებებით განხორციელება

1. ცესკო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ორგანოთა მომდევნო არჩევნებში საარჩევნო უბანზე მოსულ ამომრჩეველთა რეგისტრაცია, ხმის მიცემა, ხმის დათვლისა და შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურები ელექტრონული საშუალებებით განახორციელოს.

2. ცესკო უზრუნველყოფს ყველა უბანზე მოსულ ამომრჩეველთა რეგისტრაციას ელექტორნული რეგისტრატორით.

3. ცესკო უზრუნველყოფს საარჩევნო ოლქების სულ მცირე იმდენ უბანში ელექტორნული მთვლელით ბიულეტენების დათვლას, რამდენიც საჭიროა ამ ოლქის სოციოლოგიურად ვალიდური შედეგების გამოსავლენად.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული საშუალებების გამოყენების წესი და პირობები განისაზღვრება ცესკოს დადგენილებით.“.

33. კანონს 203² მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 203³ მუხლი:

„მუხლი 203³. საქართველოს პარლმენტის 2020 წლის არჩევნების მიზნებისთის შექმნილი საარჩევნო ბლოკებში შემავალი პარტიების დაფინანსების წესი

საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიების საბიუჯეტო დაფინანსება, საქართველოს პარლამენტის მომდევნო არჩევნების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებამდე, განისაზღვრება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობის შესაბამისად.“.

მუხლი 2. ცესკოში წარმოქმნილ ვაკანტურ თანამდებობზე პირების დანიშვნის და არჩევის დროებითი წესი და ვადა

1. პოლიტიკურ პარტიას, რომელიც დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის ბოლო არჩევნებში და შესაბამისმა პარტიამ ან საარჩევნო ბლოკმა მიიღო ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 1%-ზე მეტი, უფლება აქვს დანიშნოს ერთი წევრი ცესკოში.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პარტიების რაოდენობა 9-ზე მეტია, ცესკოს წევრის დანიშვნისას უპირატესობა ენიჭება იმ პარტიას, რომელიც უფრო მეტ საბიუჯეტო დაფინანსებას იღებს.

3. ცესკოს წევრის დანიშვნისას თანაბარი დაფინანსების ოდენობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პარტიას, რომელმაც უფრო ადრე გაიარა საარჩევნო რეგისტრაცია.

4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათალისწინებული პარტიის სიით გასულმა პარლამენტის ყველა წევრმა, რომელიც ახორციელებს პარლამენტის წევრის უფლებამოსილებას საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 224-ე მუხლის მე-10 პუნქტის მნიშვნელოვით, ამ კანონის ამოქმედებისას არსებული მდგომარეობით, დატოვა პარტია და ყველა ერთად გაწევრიანდა სხვა პარტიაში, მაშინ ცესკოს ერთი წევრის დანიშვნის უფლება გადადის ამ პარტიაზე.

5. პარტიას უფლება აქვს, გამოიწვიოს მის მიერ დანიშნული ცესკოს წევრი. გამოწვევა დაუშვებელია არჩევნების დანიშვნიდან არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე. პარტიას უფლება აქვს, აღნიშნული ვადის განმავლობაში ცესკოს ახალი წევრი დანიშნოს მხოლოდ დანიშნული წევრის გადადგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში.

6. ამ მუხლის მიზნებისთვის ბლოკში შემავალი პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების ოდენობა უნდა განისაზღვროს ბლოკის წესდების პირვანდელი მდგომარეობით.

7. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ, ცესკოში წარმოქმნილ ახალ ვაკანტურ თანამდებობებზე, ვაკანსიის წარმოშობიდან არა უგვიანეს 2 დღისა საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს განკარგულებას კონკურსის ჩატარების შესახებ. საკონკურსო საბუთების წარდგენის ვადაა კონკურსის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

8. კანდიდატურების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 1 დღის ვადაში ქვეყნდება კანდიდატთა სია.

9. კანდიდატურების წარდგენის ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 2 დღისა საკონკურსო კომისია საქართველოს პრეზიდენტს ვაკანტურ თანამდებობაზე პირის ასარჩევად წარუდგენს თითო ვაკანსიაზე არანაკლებ 2 და არა უმეტეს 3 კანდიდატურას. კანდიდატების შერჩევიდან არა უგვიანეს 3 დღისა საქართველოს პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატთა შერჩევის შესახებ და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ცესკოს ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე 2 კანდიდატურას.

10. საქართველოს პრეზიდენტი ვაკანტურ თანამდებობზე კანდიდატურებს შეარჩევს საქართველოს ორგანული კანონითა „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და ამ მუხლით დადგენილი წესით.

11. საქართველოს პრეზიდენტის მიერ კანდიდატების საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენიდან არაუგვიანეს 7 დღისა საქართველოს პარლამენტი საქართველოს ორგანული კანონითა „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ წესით ირჩევს ცესკოს ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილ პირებს.

12. საქართველოს პარლამენტი კანდიდატს ირჩევს სახელობითი კენჭისყრით. თითოეულ კანდიდატს ცალკე ეყრება კენჭი. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობა. თუ ამ პირთა რაოდენობა ასარჩევ რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლება მათ შორის უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი. თუ კანდიდატების მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად. თუ კენჭისყრის შედეგად კანდიდატი ვერ აირჩა, კანდიდატებს ხელახლა ეყრებათ კენჭი. ხელახალი კენჭისყრისას არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობა. თუ ვაკანტურ თანამდებობაზე პირი ისევ ვერ აირჩა, იმართება კიდევ ერთი კენჭისყრა. აღნიშნული კენჭისყრისას არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობა. თუ ვაკანტურ თანამდებობაზე პირი ისევ ვერ აირჩა, იმართება კიდევ ერთი კენჭისყრა. აღნიშნული კენჭისყრისას არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. ერთ კალენდარულ კვირაში არ შეიძლება ჩატარდეს ერთზე მეტი კენჭისყრა. თუ ვაკანტურ თანამდებობაზე პირი კვლავ ვერ აირჩა, არა უგვიანეს 3 დღისა ცხადდება კონკურსი და კანდიდატურების წარდგენის პროცედურა თავიდან იწყება. ამ მუხლის საფუძველზე არჩეული პირის უფლებამოსილების ვადა, რომელიც არჩეულია საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედზე ნაკლები ხმით, არის 6 თვე.

მუხლი 3. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ უფლებამოსილი პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული ცესკოს წევრების უფლებამოსილების ვადის დაწყება და ამ კანონის ამოქმედებამდე უფლებამოსილი პარტიის მიერ დანიშნული ცესკოს წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

ამ კანონის ამოქმედების შემდეგ უფლებამოსილი პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული ცესკოს წევრების უფლებამოსილების ვადა იწყება, ხოლო ამ კანონის ამოქმედებამდე უფლებამოსილი პარტიის მიერ დანიშნული ცესკოს წევრებს უფლებამოსილება უწყდებათ ამ კანონის ამოქმედების შემდეგ, ცესკოში წარმოშობილ ახალ ვაკანტურ თანამდებობებზე საქართველოს პარლამენტის მიერ შესაბამისი პირების არჩევის შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილებების ძალაში შესვლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2021 წლის 1 სექტემბრისა.

მუხლი 4. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**